1424/3-89/22 2 16022022

1424/3-89/22
16-02-2022

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელ დირექტორს

გოგიტა თოდრაძეს

ბატონო გოგიტა,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, მომაწოდოთ დეტალური ინფორმაცია, დღევანდელი მდგომარეობით, 100000-დან 1 მილიონ ლარამდე წლიური ბრუნვის რამდენი ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და შეზრუდული პასუხისმგებლობის სუბიექტია საქართველოში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გუბაზ სანიკიძე

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქსტატი
National Statistics Office of Georgia
GEOSTAT

384-5-2-202202281231

N 5-384 28/02/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ გუბაზ სანიკიძეს

ბატონო გუბაზ,

თქვენი, 2022 წლის 16 თებერვლის N1424/3-89/22 მომართვის პასუხად, გიგზავნით ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას აქტიური ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობის შესახებ, რომელთა წლიურმა შემოსავალმა შეადგინა 100 000 – 1 000 000 ლარი, 2021 წლის მდგომარეობით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ შემოსავლები გაანგარიშებულია შემოსავლების სამსახურში დეკლარირებული 2021 წლის თვიური დეკლარაციების მიხედვით. 2021 წლის წლიური დეკლარაციების დამუშავების შემდეგ, შესაძლებელია აღნიშნული რაოდენობები შეიცვალოს.

დანართი: ექსელის ფაილი (9 KB).

პატივისცემით,

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი

თბილისი, ს. დადიანის №30, 0180
ტელ: +995 32 236 72 10
ფაქსი: +995 32 236 72 13
ელ-ფოსტა: info@geostat.ge
www.geostat.ge

საწარმოთა რაოდენობა, რომელთა შემოსავალმა შეადგინა 100 000 - 1 000 000 ლარი, 2021 წლის მდგომარეობით.

სამართლებრივი ფორმა	საწარმოთა რაოდენობა
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	21295
სააქციო საზოგადოება	213
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	24
ინდივიდუალური მეწარმე	7253